საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა

ფედერაცია

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის" გამგეობის
სხდომაზე ოქმი N3
04.04.2019 წელი

გამგეობის თავმჯდომარე ... ი. ...ლიანი

„ბაფ"-ის მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების დებულება

1. შესავალი

1.1. მოცემული დებულება შემუშავებულია **„ბაფის" „განათლების კომიტეტის"** დებულების შესაბამისად, ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების პროფესიული გადამზადებისა და სერტიფიცირების მიზნით. იგი ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას, **„ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის"** რეკომენდაციებსა და მითითებებს.

1.2. სერტიფიცირება ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ განსაზღვრული მომენტისათვის **„ბაფის"** წევრ ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტერს გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

1.3. კომპეტენტურობა განისაზღვრება ბუღალტრის ცოდნით, გამოცდილებითა და პროფესიული ღირსებით;

1.4. ბუღალტრის ცოდნა მოწმდება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გზით, რომელიც ტარდება **„ბაფის"** საგამოცდო პოლიტიკისა და პროცედურების დაცვით, მოცემული დებულების შესაბამისად;

1.5. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ პირს მიენიჭება **სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის სტატუსი,** რომელიც დასტურდება სერტიფიკატით;

1.6. სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის სტატუსი მიენიჭება აგრეთვე, „ბაფის" სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ („ACCA" -ის ქართულ ენაზე ადაპტირებული პროგრამა) კანდიდატს, რომელმაც ჩააბარა პროფესიული სერტიფიცირების პირველი და მეორე დონის გამოცდები და აქვს პროფილით 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება;

1.7.სერტიფიკატის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია იმ პირობით, რომ სერტიფიცირებული ბუღალტერი ექვემდებარება ყოველწლიურ განგრძობით

სწავლებას. **„ბაფის“** წევრისათვის სერტიფიკატის ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება **„საწევრო კომიტეტის“** მიერ.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნა

2.1. სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის პრეტენდენტს (შემდეგში პრეტენდენტი) უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და პროფესიული ღირსება;

2.2. პრეტენდენტს მოეთხოვება:

ა) ზოგადი ხასიათის განათლება, რომლის გარეშე შეუძლებელია ბუღალტერს ჰქონდეს ფართო თვალსაწიერი, უნარი იმისა, რომ ეფექტურად იაზროვნოს და ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, შეძლოს აბსტრაქტული, ლოგიკური მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი;

ბ) ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის განათლება, რომელიც ბუღალტერს აძლევს ცოდნას ბიზნესის, მართვის, მარკეტინგის, სფეროში, უნვითარებს კომუნიკაციის, კავშირისა და ურთიერთობის უნარ-ჩვევებს;

გ) განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც ბუღალტერს უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და მომიჯნავე დისციპლინების ცოდნა, რომელიც ბუღალტრის წარმატებული საქმიანობის მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

2.3. ცოდნის წარმატებით გამოყენებაში ბუღალტერს ეხმარება პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელიც პროფესიული გამოცდილების შედეგია.

2.4. პრეტენდენტს პროფესიული გამოცდილების შედეგად გამომუშავებული უნდა ჰქონდეს:

ა) ანალიტიკური აზროვნება, რომელიც მას დაეხმარება რთულ ორგანიზაციულ სიტუაციაში იმოქმედოს ლოგიკურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება;

ბ) კავშირურთიერთობის ჩვევა, რომელიც მას დაეხმარება სხვა მომუშავეებთან თანამშრომლობაში;

გ) კომუნიკაციური ჩვევა, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მიღებასა და გადაცემაში.

2.5. პროფესიული ღირსების თვალსაზრისით პრეტენდენტს მოეთხოვება:

ა) იყოს პატიოსანი, ობიექტური და დამოუკიდებელი;

ბ) ემორჩილებოდეს შესაბამის პროფესიულ ნორმებს;

გ) ცნობდეს და აღიარებდეს ბაფის პროფესიული ეთიკის კოდექსს;

დ) მუდმივად ზრუნავდეს თავისი კვალიფიკაციის დონის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

2.6. პრეტენდენტის პროფესიული განათლების დონე მოწმდება საკვალიფიკაციო გამოცდით.

2.7. საკვალიფიკაციო საგამოცდო დისციპლინებია:

- ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება

- მმართველობითი აღრიცხვა
- ბიზნესის სამართალი
- აუდიტის საფუძვლები
- საგადასახადო დაბეგვრა
- პროფესიული ეთიკის კოდექსი
- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენება

2.8. ბუღალტრის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად საკმარისად მიჩნეულია სამიდან ხუთ წლამდე პრაქტიკული მუშაობა პროფილის მიხედვით;

2.9. **„ბაფი“** აღიარებს სხვა აღიარებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ ბუღალტერს, თუ სერტიფიკატის გამცემი ორგანოს სერტიფიცირების პროგრამა აკმაყოფილებს მოცემული დებულების მოთხოვნებს.

2.10. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პირი, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი ეკონომიკური განათლება და პროფილით (ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, ფინანსური მენეჯმენტის, საინვესტიციო ანალიზის და საგადასახადო კონტროლის სფერო) მუშაობის არანაკლებ **სამი** წლის გამოცდილება; ან

ბ) აქვს საშუალო ტექნიკური ეკონომიკური განათლება და პროფილით მუშაობის არანაკლებ **ხუთი** წლის გამოცდილება; ან

გ) აქვს უმაღლესი არაეკონომიკური განათლება, გავლილი აქვს ბუღალტრულ აღრიცხვაში გადამზადების კურსები და გააჩნია პროფილით პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ **ხუთი** წლის გამოცდილება.

3. გამოცდებისათვის მომზადება

3.1. პრეტენდენტი გამოცდებისათვის მომზადებას გადის ბაფის სასწავლო ცენტრში (პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი) ან დამოუკიდებლად;

3.2. სასწავლო პროგრამებს ამტკიცებს და საკვალიფიკაციო კურსის ხანგრძლივობას ადგენს ბაფის განათლებისა კომიტეტი;

3.3. ბაფის სასწავლო ცენტრში კურსების გავლის გარეშე სასერტიფიკაციო გამოცდაზე პრეტენდენტი დაიშვება, თუ იგი გამოცდებამდე მინიმუმ ორი თვით ადრე რეგისტრირებული იყო პრეტენდენტად და დამოუკიდებლად გადიოდა მომზადებას ცენტრიდან მიღებული პროგრამით;

4. საგამოცდო კომისია

4.1. **„განათლებისა კომიტეტი“** ქმნის საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიას (შემდეგში კომისია) და ამტკიცებს **„კომისიის“** პერსონალურ შემადგენლობას და თავმჯდომარეს;

4.2. **„კომისიას“** ხელმძღვანელობს **„განათლებისა კომიტეტის“** თავმჯდომარე ან მისი რეკომენდაციით, **„ბაფის“** გამგეობის რომელიმე წევრი;

4.3. **„კომისიის**“ შემადგენლობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პრეტენდენტის ცოდნის შემოწმება პროგრამის ყველა განაყოფის მიხედვით;

4.4. **„კომისია“,** განათლების კომიტეტთან ერთად, ადგენს პრეტენდენტის გამოცდაზე ქცევის ნორმებს და აცნობს მას პრეტენდენტებს გამოცდის დაწყებამდე;

4.5. **„კომისია“** იქმნება გამოცდებამდე ერთი კვირით ადრე და უფლებამოსილია გამოცდების შესახებ ანგარიშგების ჩაბარებამდე;

4.6. **„კომისია**“ ანგარიშვალდებულია განათლების კომიტეტის წინაშე. ანგარიშგების ვადა განისაზღვრება გამოცდის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღით.

4.7. საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებასა და ჩატარებაზე მონიტორინგი არის კომპეტენცია;

5. გამოცდების ჩატარების წესი

5.1. მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდება წელიწადში ორჯერ – ივნისში და დეკემბერში. წინამდებარე დებულების 2.7 პუნქტში მოცემული საგნები, გარდა კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენებისა, ბარდება ერთად; გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის პრეტენდენტი, რომელიც გამოავლენს კომპიუტერული კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენების უნარს 1-3 დღით ადრე ჩატარებულ გამოცდაზე.

5.2. გამოცდები ტარდება ქ. თბილისში. გამოცდების ჩატარების კონკრეტულ დროსა და ადგილს ადგენს **„განათლების კომიტეტი“,** გამოცდის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე;

5.3. გამოსაცდელთა სიაში ჩასართავად აუცილებელია პრეტენდენტმა **„განათლების კომიტეტში“** წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადი განცხადება
- განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი
  - შრომითი სტაჟის დამადასტურებელი საბუთი
  - საგამოცდო გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის ასლი
- ორი ფოტოსურათი (3*4)

5.4. გამოცდა ტარდება ტესტებისა და ამოცანების გამოყენებით, რომლებიც სრული კონფედენციალობის პირობებში მზადდება ყოველი გამოცდისათვის და პრეტენდენტისათვის ცნობილი ხდება გამოცდის დაწყების მომენტში. საგამოცდო პროგრამა, შედეგების შეფასების ზოგადი პრინციპი და გამსვლელი ქულა პრეტენდენტს წინასწარ განემარტება;

5.5. პრეტენდენტი გამოცდაზე დაიშვება პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ. საბუთის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი გამოცდაზე გამოუცხადებლად ითვლება და პირადი განცხადების საფუძველზე უბრუნდება გამოცდისათვის დადგენილი ერთჯერადი გადასახდელის 50 პროცენტი;

5.6. გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ კომისიის მიერ ნებადართული დამხმარე მასალების გამოყენება. დაუშვებელია სხვა პრეტენდენტთან ინფორმაციის სიტყვიერი ან სხვა ფორმით გაცვლა. აღნიშნული წესების დამრღვევი პრეტენდენტი იხსნება გამოცდიდან და ითვლება რომ გამოცდა ვერ ჩააბარა;

5.7. გამოცდაზე მეთვალყურეობის უფლება აქვთ მხოლოდ მოწვეულ ზედამხედველებს და „კომისიის წევრებს", (ან დამკვირვებლის სტატუსით უფლება დელეგირებულ პირებს). უცხო პირები და გულშემატკივრები საგამოცდო ოთახში არ დაიშვებიან;

5.8. საგამოცდო დროის ხანგრძლივობას ადგენს **„განათლების კომიტეტი"**. იგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი პრეტენდენტისათვის;

5.9. გამოცდის ბოლოს ყველა პრეტენდენტის ნამუშევარი ბარდება **„კომისიას"**, რომელიც ნამუშევრებს გასასწორებლად გადასცემს ამ მიზნით შერჩეულ პირებს.

5.10. პრეტენდენტის ნამუშევარი უნდა შეფასდეს და პრეტენდენტს შედეგები ეცნობოს გამოცდების ჩატარებიდან 3 დღის ვადაში;

5.11 პრეტენდენტს შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს თავისი საგამოცდო ნამუშევრის შეფასება. საჩივრის ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი საგამოცდო ნამუშევრის ხელახალი შეფასება;

5.12. საჩივრის განხილვა და საბოლოო შედეგზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ დღეს.

5.13. დაშვებული არაა საგამოცდო ნამუშევრის კანდიდატისათვის დაბრუნება;

5.14 პრეტენდენტების ინდივიდუალური შედეგები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. **„განათლების კომიტეტი"** აქვეყნებს მხოლოდ შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. დამსაქმებელს შეიძლება მიეწოდოს პრეტენდენტის შეფასების შესახებ ინფორმაცია, თუ დამსაქმებელი არის პრეტენდენტის სპონსორი და შესაბამისი სამმხრივი ხელშეკრულებით შეთანხმებულია ინფორმაციის მიღების უფლება.

5.16. დაშვებული არაა საგამოცდო ტესტებისა და პასუხების გასაჯაროება. ნაშრომები კანდიდატებს არ უბრუნდებათ. საგამოცდო ნამუშევრები ინახება ბაფში 3 წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საგამოცდო ნამუშევრები ექვემდებარება განადგურებას.

5.17. სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის სტატუსის მინიჭებისა და სერტიფიკატის გაცემის საკითხს იხილავს **„ბაფის" „განათლების კომიტეტი"**. სერტიფიკატი გაიცემა **„კომიტეტის"** მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში.

6. სერტიფიკატი

6.1. სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის სტატუსს და შესაბამის სერტიფიკატს კანდიდატი მიიღებს ამ დებულებით გათვალისწინებული გამოცდების ჩაბარებისა და პროფილით მუშაობის შესაბამისი გამოცდილების დადასტურების შემდეგ.

7 დებულების ძალაში შესვლა

7.1. დებულება ძალაშია 20019 წლის 04 აპრილიდან.